


© დრო-საგზა გაზარჯვეზულნი

დიდი მეცნიერის ნარუულელი კვალი

აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი - 110

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, სახელგანთქმულ ბიოქიმიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პ.მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს **ვლადიმერ ასათიანს 110 წელი შეუსრულდებოდა.**

ვლადიმერ ასათიანი 1901 წლის 10 სექტემბერს ქ. ფერგანაში (უზბეკეთი) სამხედრო ინჟინრის ოჯახში დაიბადა. 1918 წელს



წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა გიმნაზია, 1923 წელს კი ქალაქ პერუჯის (იტალია) სამეფო უმაღლესი ექსპერიმენტული აგრონომიის ინსტიტუტის აგროქიმიის განყოფილება. სწავლაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებების ნიშნად ვლ. ასათიანის სახელი და გვარი ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული

პერუჯის ინსტიტუტის საპატიო მემორიალურ დაფაზე.

1923-1925 წწ ვლ. ასათიანი მოღვაწეობდა და სპეციალიზაციას გადიოდა სტრასბურგის, პარიზის, ბერლინის უნივერსიტეტებში ორგანული ქიმიის, ბიოქიმიის და ფიზიოლოგიის დარგებში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი ლექციებს კითხულობდა მადრიდის, პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტებში მსმენელთა მშობლიურ ენებზე. 1924 წელს იგი საფრანგეთის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების წევრთა პირველ შემადგენლობაში იქნა არჩეული.

1924 წელს პ.მელიქიშვილის წარდგინებით ვლადიმერ ასათიანი დაუსწრებლად აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული და ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრის ასისტენტად, მოვალეობის შესრულებას კი 1925 წლის დეკემბერში შეუდგა, შემდეგ ამავე კათედრის გამგე გახდა.

უცხოეთიდან ბატონი ვლადიმერი უკვე სახელმძღვანელო, ღრმად განსწავლული მეცნიერი დაბრუნდა და თავისი ცოდნა და გამოცდილება საქართველოში ბიოქიმიური მეცნიერების განვითარებას, სპეციალისტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდას მოახმარა.

სამედიცინო ინსტიტუტის ჩამოყალიბებიდან ვლ. ასათიანი ორგანული და ბიოქიმიის კათედრის პროფესორი, ხოლო 1948 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ორგანული და სასამართლო ქიმიის კათედრის გამგე ბრძანდებოდა.

მრავალმხრივი იყო ვლადიმერ ასათიანის მეცნიერული და სამეცნიერო-ორგანიზაციული მოღვაწეობა. მან საქართველოში საფუძველი ჩაუყარა სამედიცინო ბიოქიმიურ სამსახურს. დააარსა ბიოქიმიური ლაბორატორიები: კარდიოლოგიის, ტუბერკულოზის, ფარმაკოქიმიის, სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტებში და განსაზღვრა მათი მეცნიერული მიმართულებები. ბატონი ვლადიმერი საკავშირო ჩარისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტების დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი ბრძანდებოდა, სადაც იგი 1931 წელს დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა, ბიოქიმიის ლაბორატორიას და ქიმიის კათედრას ხელმძღვანელობდა.

დიდი ვლ. ასათიანის ღვაწლი საქართველოში ფტიზიატრიის განვითარების საქმეში. 1937-1939 წწ. იყო ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და ბიოქიმიის განყოფილების ხელმძღვანელი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტში ბატონი ვლადიმერი მისი დაარსებიდან (1932 წ) მოღვაწეობდა ბიოქიმიის განყოფილების გამგედ, 1949-1963 წწ დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1964 წლიდან გარდაცვალებამდე ინსტიტუტის დირექტორი ბრძანდებოდა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიის განვითარებისა და სამკურნალო პრეპარატების შექმნის დარგში.

აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი ყოფილ საბჭოთა კავშირში მთის კლიმატის ბიოქიმიის და ტუბერკულოზის პათოქიმიის დამაარსებლად ითვლებოდა. ბიოქიმიური ფარმაკოლოგიისა და სამედიცინო ფერმენტოლოგიის ფუძემდებელია საქართველოში. მეცნიერის გამოკვლევებმა ბიოქიმიურ ფარმაკოლოგიაში შესაძლებელი გახადა სამკურნალო საშუალებების მოქმედების ნატიფი მექანიზმების აღიარება, ადამიანისა და პრიმატის ორგანიზმების ბიოქიმიური თავისებურებების შეფასება. მის მონოგრაფიას „ადამიანისა და მაიმუნის შედარებითი ბიოქიმია“ – პირველ მეცნიერულ კვლევას ამ დარგში ფართო გამოხმაურება მოჰყვა და მონოგრაფია აშშ-ში გამოიცა.

აკადემიკოს ვლ. ასათიანის ერთ-ერთ ძირითად მეცნიერულ მიმართულებას ანალიზური ბიოქიმია წარმოადგენდა. ამ დარგს მიუძღვნა მან მრავალი ფუნდამენტური მონოგრაფია და სახელმძღვანელო, რამაც მას კიდევ ერთი საყოველთაო აღიარება მოუპოვა. „ბიოქიმიური ანალიზი“ (რამდენიმე ტომი), „ბიოქიმიური ფოტომეტრია“, „ანალიზის ფერმენტული მეთოდები“, „ბიოლოგიური ცხრილები“, „ბიოლოგიური მასალის ფერმენტული ანალიზი“ და სხვა ბიოქიმიკოსთა სამაგიდო წიგნებად იქცა.

ბატონი ვლადიმერი 180-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის 38 მონო-გრაფიის ავტორია.

იშვიათი ტალანტის, ენციკლოპედიური განათლების მქონე მეცნიერი, სწორ-უპოვარი ლექტორი, საუცხოო პედაგოგი და ახალგაზრდების ბრწყინვალე აღმზრდელი – ბრძენი წინამძღვარი ბრძანდებოდა. ვლ. ასათიანის ხელმძღვანელობით მეცნიერებათა 80 დოქტორი და კანდიდატი მომზადდა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ (ლენინგრადში, მიწისკში, ბაქოში, ოდესაში, ტაშკენტში).

აკადემიკოსი ვლ. ასათიანი მეცნიერების შესანიშნავი პოპულიზატორი ბრძანდებოდა. მისმა მეცნიერულ-პოპულარულმა წიგნებმა არაერთხელ მოიპოვეს ჯილდოები მეცნიერულ-პოპულარული წიგნების საკავშირო კონკურსებზე.


აკადემიკოსი ვლ. ასათიანი საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი თავმჯდომარე, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე ბრძანდებოდა. მრავალი საერთაშორისო ბიოქიმიური სამეცნიერო ფორუმების ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე იყო.

აკადემიკოსმა ვლადიმერ ასათიანმა – განუმეორებელმა ქართველმა ინტელიგენტმა, სასიქადულო მამულშიწიგნა, დიდმა მეცნიერმა, მოაზროვნემ წარუშლელი კვალი დატოვა საზოგადოებაში და სამუდამოდ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი მეცნიერების განვითარების ისტორიაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
იოვან ჭუბთაძელაძის სახელობის ფარმაცოქიების
ინსტიტუტი

აკადემიკოსი

ვლადიმერ ასათიანი



Academician



Vladimer Asatiani

იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია, 2012

დიდებული მეცნიერი, მომხიბლავი პიროვნება

110 წელი შესრულდა სახელგანთქმული ბიოქიმიკოსის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარის, თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის ორგანული და სასამართლო ქიმიის კათედრის გამგის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ი. ჭუთათელაძის სახ. ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ვლადიმერ ასათიანის დაბადებიდან.

სამეცნიერო და სამედიცინო საზოგადოება უდიდეს პატივს მიაგებს საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერის, საქართველოში მთელი რიგი მნიშვნელოვანი მეცნიერული მიმართულების ფუძემდებლის, უბადლო პიროვნების, აკადემიკოს ვლადიმერ ასათიანის ნათელ ხსოვნას.

ვლადიმერ ასათიანი 1901 წლის 10 სექტემბერს უზბეკეთის ქალაქ ფერგანაში დაიბადა. მამა სამსონ ასათიანი სამხედრო ინჟინერი ბრძანდებოდა; დედა მარიამი ზედგენიძის ქალი იყო.

ოჯახი 1904 წელს პეტერბურგში, ხოლო 1909 წელს თბილისში გადმოსახლდა. მამა სამსონი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ფრონტზე გაიწვიეს.

ვლადიმერმა 1909 წელს თბილისის ვაჟთა მე-6 გიმნაზიაში დაიწყო სწავლა და 1918 წელს წარჩინებით დაამთავრა. გიმნაზიაში კლასის დამრიგებელი დიდი ექვთიმე თაყაიშვილი თავის გამორჩეულ მოწაფეს ისტორიკოსობას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ვლადიმერმა ქიმია ირჩია და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა. აქ აგროქიმიის კურსს გამოჩენილი მეცნიერ-ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი

კითხულობდა. მან მყისვე მიაქცია ყურადღება ნიჭიერ სტუდენტს და სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელება ურჩია.

პირველი კურსის დამთავრების შემდეგ ვლადიმერ ასათიანმა სწავლა იტალიის ქ. პერუჯის სამეფო უმაღლეს ექსპერიმენტული აგრონომიის ინსტიტუტის აგროქიმიის განყოფილებაზე განაგრძო. 1923 წელს ინსტიტუტი აგრონომიულ მეცნიერებათა დოქტორის დიპლომით დაამთავრა.

სწავლაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებების ნიშნად ვლადიმერ ასათიანის სახელი და გვარი ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული პერუჯის ინსტიტუტის საპატიო მემორიალურ დაფაზე.

უცხოეთში გამგზავრებისას მშობლებმა ვლადიმერი ძვირფასი განძეულობით აღჭურვეს, მაგრამ სტამბოლში იგი ნათესავმა გაძარცვა და უსახსროდ დარჩა.

ომის შემდგომ ნახევრადმშიერ ევროპაში ეკონომიკურ მხარდაჭერას მოკლებული ვლადიმერი არსებობის შენარჩუნებისათვის მძიმე შრომას ეწეოდა. მუშაობდა ცირკის მუსიკოსად, ქვის მთლელად, ფეხბურთელად პროფესიულ გუნდში, მონასტერში ორღანზე უკრავდა და ა.შ. მაგრამ სწავლას წარმატებით განაგრძობდა.

პეტრე მელიქიშვილის რეკომენდაციით ვლადიმერ ასათიანი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ევროპაში რჩება და სპეციალიზაციას გადის ორგანული ქიმიის განხრით შარლოტენბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ბიოქიმიის დარგში სტრასბურგის უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტის ლაბორატორიაში პროფესორ ნიკლუსთან, ბერლინის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში პროფესორ შარლშმიდტთან, პარიზის უნივერსიტეტში პროფესორ ბერტრანთან.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი ვლადიმერ ასათიანი ლექციებს კითხულობს პარიზისა და ბერლინის უნივერსიტეტებში მსმენელთა მშობლიურ ენებზე.

1924 წელს ვლადიმერ ასათიანი საფრანგეთის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების წევრთა პირველ შემადგენლობაში აირჩიეს.

საზღვარგარეთ ყოფნისას 1924 წელს პეტრე მელიქიშვილის წარდგენით ვლადიმერ ასათიანი დაუსწრებლად აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული და ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრის ასისტენტად, მოვალეობის შესრულებას კი 1925 წლის დეკემბერში შეუდგა. მოგვიანებით ამავე კათედრის გამგე გახდა.

სამედიცინო ინსტიტუტის ჩამოყალიბებიდან ვლადიმერ ასათიანი ორგანული და ბიოქიმიის კათედრის პროფესორი, ხოლო 1948 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ორგანული და სასამართლო ქიმიის კათედრის გამგე ბრძანდებოდა.

უცხოეთიდან ბატონი ვლადიმერი უკვე სახელმძღვანელო, ღრმად განსწავლული მეცნიერი დაბრუნდა, თავისი ცოდნა და გამოცდილება სამშობლოში ბიოქიმიური მეცნიერების განვითარებას და ახალგაზრდა სპეციალისტთა, მეცნიერთა აღზრდას მოახმარა.

მრავალმხრივი იყო ვლადიმერ ასათიანის მეცნიერული და სამეცნიერო-ორგანიზაციული მოღვაწეობა; მან საქართველოში საფუძველი ჩაუყარა სამედიცინო ბიოქიმიურ სამსახურს; დააარსა ბიოქიმიური ლაბორატორიები: კარდიოლოგიის, ტუბერკულოზის, ფარმაკოქიმიის, სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტებში; განსაზღვრა მათი მეცნიერული მიმართულებები და ხელმძღვანელობდა კვლევებს.

დიდია ვლადიმერ ასათიანის დამსახურება ჩაის კულტურის განვითარების საქმეში. რესპუბლიკის წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა იდგა - გადაეჭვიათ ჩვენი სუბტროპიკები სამამულო ჩაის წარმოების მძლავრ ბაზად. ამ საქმის საწყისებთან ვლადიმერ ასათიანი იდგა. 1929-1931 წლებში იგი სააქციო საზოგადოება "საქართველოს ჩაის" მეცნიერ ხელმძღვანელი ბრძანდებოდა. ჩაისა და სუბტროპი-

კული კულტურების საკავშირო ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტების დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი და სამეცნიერო და სასწავლო დარგებში ამ ინსტიტუტების დირექტორის მოადგილე იყო.

ბატონმა ვლადიმერმა გაშალა კვლევები ჩაის ბიოქიმი-აში; გაიხსნა და აღიჭურვა ჩაის სამეცნიერო-კვლევითი პირველი ლაბორატორია, ქიმიური და მეტროლოგიური სადგურები, გაშენდა ჩაის საცდელი პლანტაციები; გაიხსნა ჩაის გადამამუშავებელი პირველი ფაბრიკა და ა.შ.

ვლადიმერ ასათიანი მალეკვალიფიციური კადრის მომზადებას შეუდგა. ჩაის კულტურის გაშენების საკითხებთან დაკავშირებით მზადდებოდა სპეციალისტები მცენარეთა ანატომიასა და ფიზიოლოგიაში, ენტომოლოგიაში, მიკრობიოლოგიაში, მეტეოროლოგიაში, ნიადაგმცოდნეობაში. ვლადიმერ ასათიანის შედგენილ სახელმძღვანელოებზე და ლექციებზე სწავლობდნენ იმ დროს ჩაის საქმეს პირველი ქართველი სპეციალისტები.

ვლადიმერ ასათიანი საბჭოთა კავშირში მთის კლიმატის ბიოქიმიის და ტუბერკულოზის პათოქიმიის ფუძემდებლად ითვლებოდა. აღნიშნული მიმართულებით კვლევების ჩასატარებლად ბატონი ვლადიმერი აბასთუმანში მიემგზავრება. იმ პერიოდში აბასთუმანში მოღვაწეობდა აბასთუმნის ტუბერკულოზით დაავადებულთა კურორტის კონსულტანტი, გამოჩენილი ექიმი-ფტიზიატრი, სამედიცინო სამხედრო სამსახურის ყოფილი გენერალი, ღრმად განსწავლული პიროვნება ილია ზურაბის ძე გოპაძე. ბატონი ვლადიმერი აქ ილია გოპაძის ქალიშვილს ქეთევანს გაეცნო (1928 წ), მთელი ცხოვრება ამ ულამაზეს, სათნო ქალბატონს დაუკავშირა და მასთან ერთად ბედნიერი ოჯახი შექმნა.

ვლადიმერ ასათიანმა ზომიერი მთის კლიმატის პირობებში ტუბერკულოზის ბიოქიმიის შესწავლა აბასთუმანში კლინიკური ბიოქიმიის ლაბორატორიის დაარსებით დაი-

წყო, რომელიც შემდეგ ტუბერკულოზის ინსტიტუტის ლაბორატორიად გადაკეთდა.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში ფართოდ გავრცელებული სოციალური დაავადების ტუბერკულოზის მკურნალობის საქმეს ცნობილი ფტიზიატრი პროფესორი იოსებ აბაკელია მეთაურობდა. 1930 წელს მან ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დააარსა, რომლის პირველი დირექტორი თვითონ ბრძანდებოდა, ხოლო დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში ბატონი ვლადიმერი დაინიშნა. მეტად ნაყოფიერი იყო იოსებ აბაკელიას და ვლადიმერ ასათიანის ერთობლივი მოღვაწეობა ტუბერკულოზის ინსტიტუტის ფორმირებისა და ამ პათოლოგიის შესწავლის დარგში. 1937-1939 წწ ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ვლადიმერ ასათიანი ბრძანდებოდა.

ვლადიმერ ასათიანის ლაბორატორიაში დადგინდა ზომიერი მთის კლიმატის პირობებში ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის თავისებურებანი, ჟანგვა-აღდგენის, ცილოვან ნივთიერებათა, ლიპიდების, ნახშირწყლების, ვიტამინების, ფერმენტების, ჰორმონების ცვლის რეგულაციის ურთიერთდამოკიდებულებანი. დადგინდა, რომ მთის ზომიერი ჰავის გავლენის დროს ტუბერკულოზის ანტიბაქტერიული თერაპია ადრენალინის გამლიერებული გამოყოფის ფონზე წარიმართება, ჰორმონების ცვლის თავისებურებები სდევს თან და ყოველივე ეს უფრო მკვეთრადაა გამოხატული ვიდრე ბარში. ტუბერკულოზით დაავადებულთა ორგანიზმის რეაქციულობა უჯრედის დონეზე მიმდინარე ბიოქიმიური პროცესებით აიხსნება.

პროფ. ვლადიმერ ასათიანმა ტუბერკულოზის პათოგენეზის კლიმატოთერაპიის მეცნიერული საფუძვლები შექმნა.

სხვადასხვა ზონის მთის ჰავის პირობებში (კოჯორი, აბასთუმანი, ბაკურიანი) კუნთოვანი მუშაობის ბიოქიმიური ასპექტების შესწავლის შედეგებმა ბატონი ვლადიმერი სპორტული წვრთნის საკითხებით დააინტერესა. შეიმუშავა სპორტსმენთა წვრთნისა და რაციონალური კვების მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები.

მთის ჰავის პირობებში სამკურნალო საშუალებათა მოქმედების ბიოქიმიური მექანიზმების თავისებურებების გათვალისწინებით ფიზიკური დატვირთვისა და პათოლოგიების დროს პრეპარატთა გამოყენების რეკომენდაციები მოგვაწოდა.

ვლადიმერ ასათიანმა პირველმა ჩამოაყალიბა ზომიერი მთის კლიმატის ბიოქიმია, როგორც მეცნიერული მიმართულება და კვლევის შედეგები განაზოგადა მონოგრაფიაში "მთის კლიმატის ბიოქიმია".

ადამიანისა და პრიმატის ნივთიერებათა ცვლის განსხვავებული სპეციფიურობა პროფ. ვლ. ასათიანმა აღწერა მონოგრაფიაში "ადამიანისა და მაიმუნის შედარებითი ბიოქიმია". მონოგრაფიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა.

1935 წელს ვლადიმერ ასათიანს მონოგრაფიისთვის "სისხლში რედუქციული ნივთიერებების გამოკვლევის მეთოდი" ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. 1937 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე "მთის კლიმატისა და ტუბერკულოზის ბიოქიმიისათვის".

1946 წელს ვლადიმერ ასათიანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს ბიოქიმიის სპეციალობით, ხოლო 1960 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად - აკადემიკოსად.

ვლადიმერ და ქეთევან ასათიანებმა ორი შვილი აღზარდეს: მელიტა - ღრმად განათლებული, უნიჭიერესი ქალბატონი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის განყოფილების გამგე;

არჩილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის გამგე (1975-2004 წწ.); 1975-1985 წწ. თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, ხოლო 1985-1991 წწ. უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მათი ღირსეული მემკვიდრენი შვილიშვილები: მანანა და არჩილ ბაქრაძეები, ვლადიმერ, გიორგი, ქეთევან ასათიანები.

ვლადიმერ ასათიანის შემოქმედება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტთან (1961 წლამდე თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტი). აქ ბატონი ვლადიმერი ინსტიტუტის დაარსებიდან - 1932 წლიდან მთელი 40 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა: ბიოქიმიის განყოფილების გამგე, 1949-1963 წწ დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ხოლო 1964 წლიდან გარდაცვალებამდე ინსტიტუტის დირექტორი ბრძანდებოდა.

იმ პერიოდში ინსტიტუტის მცირერიცხოვანი კოლექტივი პროფესორ იოველ ქუთათელაძის ხელმძღვანელობით მძლავრი შემოქმედებითი შრომით, კეთილგანწყობით და ურთიერთმოკრძალებული პატივისცემით იყო შეკავშირებული: დიდი ივანე ჯავახიშვილი, ნიკოლოზ მასხულია, ალექსანდრე ალადაშვილი, ედუარდ აბოლი, ვლადიმერ ასათიანი, გიორგი ვაწაძე, დიმიტრი სოსნოვსკი, დიმიტრი გედევანიშვილი, პავლე ჭუმბურიძე, ვალერიან შოთაძე, არისტარხ მშვიდლობაძე, ალექსანდრე პლისოვი, ქეთევან მუჯირი, იოსებ პარმა, თამარ კაჩუხაშვილი, ლიდა რამიშვილი, ირაკლი ბურჯანაძე. ამ შესანიშნავ მეცნიერთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა ბატონი ვლადიმერი ბრძანდებოდა, რომელიც ყოველ წამოწყებაში მტკიცე ბურჯად ედგა მხარში იოველ ქუთათელაძეს, სამკურ-

ნალო მცენარეთა კვლევისა, ფარმაცევტული განათლების განვითარების თუ ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის ჩამოყალიბების საქმეში. საოცრად ამაღლებული, საქმიანი, ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული მეგობრული დამოკიდებულება არსებობდა ამ ორ მეცნიერს იოველ ქუთათელაძესა და ვლადიმერ ასათიანს შორის.

ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში აფუძნებდა ბატონი ვლადიმერი საქართველოში ბიოქიმიურ ფარმაკოლოგიას, ანალიზურ ბიოქიმიას და სამედიცინო ფერმენტოლოგიას. ბიოქიმიურ ფარმაკოლოგიაზე, ფარმაკოლოგიის ამ უნატიფეს სფეროზე თავის დროზე ჩვენში პირველმა ვლ. ასათიანმა გაამახვილა ყურადღება, შემდეგ კი იგი კვლევის აუცილებელ მიმართულებად იქცა. ვლ. ასათიანის შრომებმა ამ დარგში შესაძლებელი გახადა გულ-სისხლძარღვთა დაავადების, ათეროსკლეროზის, დიაბეტის, ჰიპოქსიის სამკურნალო რიგი პრეპარატების მოქმედების ბიოქიმიური მექანიზმების ახსნა.

პროფესორ ვლადიმერ ასათიანის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ანალიზური ბიოქიმია წარმოადგენდა. ამ დარგს მიუძღვნა მრავალი ფუნდამენტური სქელტანიანი მონოგრაფია და სახელმძღვანელო, რამაც მეცნიერს კიდევ ერთი საყოველთაო აღიარება მოუპოვა. "ბიოქიმიური ანალიზი" (რამდენიმე ტომი), "ბიოქიმიური ფოტომეტრია", "ანალიზის ფერმენტული მეთოდები", "ბიოლოგიური ცხრილები", "ბიოლოგიური მასალის ფერმენტული ანალიზი" და სხვა ბიოქიმიკოსთა სამაგიდო წიგნებად იქცა.

პროფესორ ვლადიმერ ასათიანის ღირსეული მოწაფე და ღვაწლმოსილი თანამშრომელი ქალბატონი ლიდა რამიშვილი მისდამი მიძღვნილ მოგონებებში 1980 წელს წერდა: "ვლადიმერ ასათიანი იყო ერთ-ერთი პირველი ბიოქიმიკოსი ჩვენს ქვეყანაში, რომელიც თავისი მეცნიერული შრომებით ჯერ კიდევ 1939 წლიდან ნერგავდა

ბიოლოგიური მასალის ანალიზის თანამედროვე მეთოდებს, როგორცაა: ფოტომეტრული, სპექტრული, გაზომეტრული, ქრომატოგრაფული, ფერმენტული მეთოდები. ეს საშუალებას იძლეოდა შევსებულიყო ბიოქიმიურ მაჩვენებელთა არსენალი, რომელთა აღმოჩენა არსებული ხერხებით მიუწვდომელი იყო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თუ დღეს საბჭოთა სპეციალისტები ბიოქიმიურ ანალიზის დარგში თამამად მიაბიჯებენ საზღვარგარეთელი კოლეგების მხარდამხარ, დიდი დამსახურება ამ საქმეში ვლადიმერ ასათიანს მიუძღვის”.

1961 წელს მოსკოვში მიმდინარე საკავშირო სამედიცინო მრეწველობის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების გაერთიანებულ სამეცნიერო-საკოორდინაციო თათბირზე, სხდომის თავმჯდომარემ პროფ. ნ. რუბცოვმა თავის მოკლე შესავალ სიტყვაში ვლადიმერ ასათიანის მონოგრაფია “Биохимический анализ” მეცნიერების დიდ მონაპოვრად მოიხსენია.

1969 წელს თბილისში ფერმენტოლოგიისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი ვლადიმერ ასათიანი ბრძანდებოდა. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვანი სტიმული მისცა ჩვენში ფერმენტოლოგიის განვითარების საქმეს.

ბიოქიმიის სწრაფმა აღორძინებამ ფერმენტების, როგორც უზუსტესი ქიმიური რეაქტივების გამოყენება განაპირობა. თვალსაჩინო გახდა ანალიზის ფერმენტული მეთოდების უპირატესობა და ფართოდ გაიშალა კვლევები მთელ მსოფლიოში. შეიქმნა დაგროვილი მრავალრიცხოვანი მასალის სისტემატიზაციის და განზოგადების აუცილებლობა. ეს საკითხი ბრწყინვალედ გადაჭრა აკადემიკოსმა ვლადიმერ ასათიანმა. 1969 წელს გამომცემლობა “ნაუკამ” დასტამბა მისი წიგნი “ანალიზის ფერმენტული მეთოდები” - ამ სფეროში პირველი მონოგრაფია არამარტო საბჭოთა კავშირში.

მონოგრაფიისათვის ”ანალიზის ფერმენტული მეთოდები” აკადემიკოს ვლ. ასათიანს პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. შრომის დამსახურებულ შეფასებასთან ერთად ეს იყო ღირსეული მოწაფის ერთგულების სიმბოლური გამოხატულება თავისი სანუკვარი მასწავლებლისადმი.

ბატონმა ვლადიმერმა ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში მიაქცია ყურადღება ჩვენი კლიმატისათვის ეგზოტიკურ მცენარეს - პაპაიას - ნესვის ხეს, რომლის მხოლოდ ორიოდ ეგზემპლარი არსებობდა მაშინ საქართველოში. პროფესორ ქეთევან მუჯირთან ერთად დაიწყო მცენარის ნაყოფების ფერმენტების შესწავლა. ეს კვლევები შეწყდა, მაგრამ შორსმჭვრეტელო ადმოჩნდა ვლ. ასათიანის ალღო. მოგვიანებით ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში მის მიერ დაარსებულ ლაბორატორიაში პაპაიას ფერმენტისაგან მაღალეფექტური პროტეოლიზური პრეპარატი კარიპაზიმი შეიქმნა, რომელიც ფართოდ იხმარება მედიცინაში.

ვლადიმერ ასათიანს შემოქმედებითი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ისეთ გამოჩენილ რუს ბიოქიმიკოსებთან, როგორც იყვნენ: ვ. ოპარინი, ვ. ენგელგარდტი, ა. პალადინი, ს. სევერინი, ა. ბრაუნშტეინი, ა. კურსანოვი, ი.ბერეზინი, ნ. კოჩეტკოვი, ბ. სტეპანენკო. მის შრომებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ევროპელი მეცნიერები: ო. ვარბურგი, ა. სენტ-დიერი, ლ. პოლინგი და სხვები.

ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის გარდაცვალების შემდეგ აკადემიკოსმა ვლადიმერ ასათიანმა შესანიშნავად გააგრძელა ინსტიტუტის საქმიანობა. საყურადღებო წარმატებები იქნა მოპოვებული ბიოლოგიურად აქტიურ ბუნებრივ ნივთიერებათა შესწავლისა და სამკურნალო პრეპარატების შექმნის დარგში; გაძლიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაფართოვდა შემოქმედებითი კავშირები, გაიზარდა ინსტიტუტის ავტორიტეტი.

აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი 180-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის 38 მონოგრაფიის ავტორია.

იშვიათი ტალანტის, ენციკლოპედიური განათლების მქონე მეცნიერი, სწორუპოვარი ლექტორი, საუცხოო პედაგოგი და ახალგაზრდების ბრწყინვალე აღმზრდელი - ბრძენი წინამძღვარი ბრძანდებოდა. მის შთამბეჭდავ ლექციებზე, მონოგრაფიებზე, სახელმძღვანელოებზე ექიმთა, პროვიზორთა, ბიოლოგთა მთელი თაობები აღიზარდა. ვლადიმერ ასათიანის ხელმძღვანელობით მეცნიერებათა 80 დოქტორი და კანდიდატი მომზადდა საქართველოსა და მის ფარგლებ გარეთ (ლენინგრადში, მინსკში, ბაქოში, ოდესაში, ტაშკენტში).

აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი მეცნიერების შესანიშნავი პოპულიზატორი ბრძანდებოდა. მის კალამს ეკუთვნის მეცნიერულ-პოპულარული 20 წიგნი, მათგან 10 მოსკოვშია გამოცემული. წიგნებმა: "ჩვენი ორგანიზმის ქიმია", "შეცდომები ნივთიერებათა ცვლაში", "სიცოცხლის ქიმიური საფუძვლები", "ბიოლოგიური კატალიზატორები", "კოსმოსური მიკრობიოლოგია" ჯილდოები მოიპოვეს მეცნიერულ-პოპულარული წიგნის საკავშირო კონკურსებზე.

აკადემიკოს ვლადიმერ ასათიანის მეცნიერულ პოპულარული ლექცია-მოხსენებები ღრმა ცოდნის, ორატორული ხელოვნების და მჭერმეტყველების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდნენ და ფართო საზოგადოების უდიდეს ინტერესს იწვევდნენ.

სრულყოფილად ფლობდა რა რამდენიმე უცხო ენას, კითხვის საოცარ უნარს თვალის ერთი გადავლებით ზუსტად აღექვა მთელი გვერდი, კარგად იცნობდა მსოფლიოს კლასიკურ თუ თანამედროვე ლიტერატურას, ისტორიას, ხელოვნებას, რაც მის ადამიანურ მომხიბვლელობას კიდევ უფრო აძლიერებდა და არაჩვეულებრივ მოსაუბრედ წარმოგვიდგენდა.

აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და

მისი თავჯდომარე (1962-1970 წწ), საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე ბრძანდებოდა, დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, მრავალი საერთაშორისო ბიოქიმიური სამეცნიერო ფორუმის ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე იყო.

აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი უთვალსაჩინოესი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, უდიდესი ერუდიციის, ფართო დიაპაზონის, ფენომენალური მეხსიერების მქონე, უკეთილშობილესი პიროვნება, საოცარი გულისხმიერებით, ხალისიანი ბუნებით და დიდებული უბრალოებით ხასიათდებოდა. სრულიად განსხვავებული ვლადიმერ ასათიანისეული მზრუნველობით და სითბოთი ეპყრობოდა ირგვლივ მყოფთ, ზრდიდა ახალგაზრდობას. უსაზღვრო იყო მისი სულისა და გონების სიუხვე.

ბატონი ვლადიმერი 1972 წლის 9 მარტს მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო-სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე მისი მოწაფის დისერტაციის დაცვის დროს.


40 წელი გავიდა აკადემიკოს ვლადიმერ ასათიანის გარდაცვალებიდან, მაგრამ მისი ადგილი არ განთავისუფლებულა. ვლადიმერ ასათიანმა განუმეორებელმა ქართველმა არისტოკრატმა, სასიქადულო მამულიშვილმა, დიდმა მეცნიერმა, მოაზროვნემ წარუშლელი კვალი დატოვა საზოგადოებაში და სამუდამოდ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი მეცნიერების განვითარების ისტორიაში.

ეთერ ქემერტელიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოსი



ვლადიმერ ასათიანი თბილისის მე-ნ გიმნაზიაში



ვლადიმერ ასათიანის მშობლები:
მარიამ ზედგენიძე და სამსონ ასათიანი



ვლადიმერ ასათიანი გიმნაზიელი



ვლადიმერ ასათიანის სიმამრი –
ილია გობაძე



ვლადიმერ ასათიანის მეუღლე –
ქეთევან გობაძე-ასათიანისა



ვლადიმერ ასათიანი მეუღლესთან და შვილებთან ერთად



ვლადიმერ ასათიანის და ელენე
მეუღლესთან - იოსებ აბაკელიასთან
ერთად



ვლადიმერ ასათიანის ძმა ლეონიდე
მეუღლესთან ერთად



ვლადიმერ ასათიანი ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის კოლექტივში. 1937 წ.



ვლადიმერ ასათიანი და იოველ ქუთათელაძე



ვლადიმერ ასათიანი ბიოქიმიის ლაბორატორიაში



ვლადიმერ ასათიანი ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან. 1952 წ.



ვლადიმერ ასათიანი ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. 1963 წ.



ვლადიმერ ასათიანი ბიოქიმიკოსთა
საერთაშორისო კონგრესზე. ქ. მოსკოვი



ვლადიმერ ასათიანი და ეთერ ქემერტელიძე



ვლადიმერ ასათიანი იოველ ქუთათელაძის
ძეგლის გახსნის დროს. 1971 წ.



ვლადიმერ ასათიანის ქალიშვილი
მელიტა ასათიანი-ბაქრაძისა



ვლადიმერ ასათიანის ვაჟი
არჩილ ასათიანი. საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი



ვლადიმერ ასათიანი

AN OUTSTANDING SCIENTIST AND FASCINATING PERSONALITY

This year an outstanding biochemist, full member of the National Academy of Sciences of Georgia, Merited Scientist, winner of the P. Melikishvili Prize, Chairman of the Biochemists' Society of Georgia, Head of the Department of Organic and Forensic Chemistry of Tbilisi State Medical University, Director of the I. Kutateladze Institute of Pharmacochemistry under the National Academy of Sciences of Georgia, Academician Vladimer Asatiani would have celebrated his 110th birthday. Researchers and practicing physicians will always remember him – a prominent scientist, founder of a whole number of prominent scientific trends and a very particular person: Academician Vladimer Asatiani.

He was born on September 10, 1901 in Fergana, Uzbekistan. His father, Samson Asatiani, served in the Engineers Corps of the Russian Imperial Army. His mother, Maria, came from the Zedgenidze family.

In 1904 the Alsatians moved to St.Petersburg, and in 1909 – to Tiflis (Tbilisi). Father went to the front line in the first days of the First World War.

In 1909 Asatiani went to the 6th Tiflis Boys' Grammar School (a.k.a. the gymnasium) and took its full course in 1918 with honours. Ekvtime Taqaishvili, an historian and a public figure, who was then his form-master in the gymnasium, recommended him the career of an historian too, but Vladimer opted for chemistry and entered the Polytechnic Institute. His teacher of agrochemistry was Petré Melikishvili, a prominent chemist, who immediately saw the talent in the young student and advised him to continue his education abroad.

Having accomplished his first year at the Polytechnic Institute, Asatiani continued his studies at the Department of Biochemistry of the Royal Higher Institute of Experimental Agronomy in Perugia, Italy, from which he graduated in 1923 as a Doctor of Agronomy, and his name was engraved in gold letters on the memorial plaque of the Institute to commemorate his excellent achievements as a student there.

He moved to Istanbul where his distant relative robbed him of all the valuables his parents had given him when he was going abroad. So,

now penniless Vladimer had to do hard physical work in post-war starving Europe. He played in a circus orchestra, worked as a stonecutter, played football in a professional team, played the organ in a monastery, etc., but always studied and studied well.

Following the recommendation of P. Melikishvili he stayed in Europe and specialized in organic chemistry at the Polytechnic Institute of Charlottenburg. He then specialized in biochemistry at the laboratory of the Department of Pharmaceutics of the University of Strasbourg under Prof. Niclou, at the Institute of Physiology at Berlin University under Prof. Schaarsmidt and at the University of Paris under Prof. Bertrand.

As a young scientist, V. Asatiani delivered lectures to students at the Universities of Paris and Berlin in the native language of the audience.

In 1924 he became one of the first members of the Biochemists' Society of France.

In the same year, while still abroad, he was recommended by P. Melikishvili to fill the position of an assistant at the Department of Organic and Physiologic Chemistry of Tbilisi State University, but assumed his duties there only in December 1925. Later he became Head of that Department.

Since the foundation day of the Tbilisi Medical Institute Asatiani was a professor at the Department of Organic Chemistry and Biochemistry, and from 1948 till the end of his life he served as Head of the Department of Organic and Forensic Chemistry.

Asatiani returned home as a highly educated scientist of authority to use the knowledge and experience he had accumulated abroad for the development of biochemistry and for raising a new generation of young professionals.

His research and organizational activities were multifarious. Here in Georgia he laid the foundation of medical biochemical services by opening biochemical laboratories at such research centres as the Institute of Cardiology, the Institute of Tuberculosis, the Institute of Pharmacology and the Institute of Subtropical Cultures, giving them appropriate starting orientation and supervising their research activities.

Asatiani made spectacular achievements in the development of the tea industry in Georgia that faced a serious challenge to turn the sub-

tropical areas of the country into a powerful basis of manufacture of home grown tea. Starting from scratch in 1929, he became a scientific supervisor of the Georgian Tea Project (1929-1931). He was one of the founders of the All-Union Research Institute of Tea and Subtropical Cultures at Anaseuli and started a number of relevant educational centres in this line, where he worked as deputy director for education and research.

He concentrated on exploring the biochemistry of the tea leaf, and on his initiative the first laboratory for conducting research in this sphere was opened and appropriately equipped. Also, other chemical laboratories and meteorological stations were opened, plots of land were specially allocated for pilot tea shrub plantations, the first tea leaf processing factory became operational, etc.

Asatiani also trained highly qualified professionals in plant anatomy and physiology, in entomology, microbiology, meteorology, pedology to deal with issues connected with growing tea shrubs. His lectures and manuals became *vade mecums* of the first tea growing specialists in Georgia.

In the Soviet Union Asatiani was regarded as the founder of the biochemistry of mountain climate and of pathochemistry of tuberculosis, because to explore this sphere he had gone to Abastumani – a health resort for patients suffering from tuberculosis, located high up in the mountains. At that time Dr. Ilia Z. Gopadze, a retired General of the Medical Corps and an outstanding phthisiatrician was working at that resort.

There Asatiani met Ilia Gopadze's daughter Ketevan (in 1928) and they both made a happy family.

He started studying the biochemistry of tuberculosis by opening a laboratory of clinical biochemistry in the moderate highland climate of Abastumani which later became part of the Institute of Tuberculosis.

Tuberculosis became a widespread wasting disease of large sections of the population in the early 1930s, when it attracted the attention of Prof. Ioseb Abakelia, a renowned phthisiatrician. Back in 1930 he had founded the Research Institute of Tuberculosis, of which he became the first Director, with Asatiani as his deputy for scientific research. Their joint efforts strengthened the Institute and were quite fruitful in studying this pathology. In 1937-1939 Prof. Asatiani was Director of this Institute.

The above laboratory helped to shed light on the specificities of metabolism, oxidation and reduction processes, as well as interdependency of metabolic control of proteins, lipids, carbohydrates, vitamins, enzymes, hormones in the human organism under the conditions of a moderate mountain climate. It was established that under the influence of a moderate mountain climate the antibacterial therapy of tuberculosis proceeds against the background of intensified release of adrenalin and is accompanied by a peculiar metabolism of hormones, and that here, in Abastumani, it is much more pronounced than in the lowlands. Such reactivity of phthisic patients' organism is accounted for by the biochemical processes proceeding at the cellular level.

Prof. Asatiani laid scientific foundation of climatotherapeutics of the pathogenesis of tuberculosis.

The results of studying the biochemical aspects of the performance of muscles under the conditions of mountain climate at various zones in Kojori, Abastumani, Bakuriani led Prof. Asatiani to study the issues of physical conditioning of athletes. He proposed scientifically based recommendations for athletic training and elaborated rational dietary recommendations for patients suffering from tuberculosis.

He recommended use of various medications with due account of the specificities of their biochemical mechanisms in the organism under exertion and in pathology under the conditions of mountain climate.

He was the first to identify, trace back, describe and prove the biochemistry of a moderate mountain climate as a scientifically justified trend and summed up his results in a monograph "Biochemistry in Mountain Climate".

In another of his monographs "The Comparative Biochemistry of Man and Ape" he offers a description of metabolism in man and in primates. The monograph was published in the United States and caused quite a stir there.

In 1935 the monograph "A Method of Tracing Reducing Substances in the Blood" won him the scholarly degree of a Candidate of Science (Biology). In 1937 he defended his doctoral thesis "Apropos the Biochemistry of Mountain Climate and Tuberculosis".

In 1946 Prof. Asatiani was elected a Corresponding Member of the Academy of Sciences of the Georgian SSR in biochemistry, and in 1960 he became its Full Member.

The activities of Acad. Asatiani were closely connected with the I. Kutateladze Institute of Pharmacochemistry (until 1961 – the Tbilisi Research Chemo-Pharmaceutical Institute) where he worked from the day of its foundation in 1932 through to 1972, i.e. over 40 years first as Head of the Department of Biochemistry, then in 1949-1963 as Deputy Director for Research and from 1964 till his dying day – as its Director.

In that time the small staff of the Institute (the renowned Iv. Javakhishvili with N. Maskhulia, A. Aladashvili, E. Aboli, G. Vatsadze, D. Sosnovski, V. Asatiani, P. Chumburidze, D. Gedevanishvili, V. Shotadze, A. Mshvidobadze, A. Plisov, K. Mujiri, I. Parma, T. Kachukhashvili, L. Ramishvili, I. Burjanadze) were fully engaged in vigorous research in an atmosphere of friendship and mutual respect under the leadership of Prof. I. Kutateladze. Asatiani occupied a particular place among these outstanding scientists. He invariably supported all the initiatives of I. Kutateladze, especially where promotion of studies of medicinal herbs, development of pharmaceutical education and setting up of chemo-pharmaceutical production were concerned. All this cemented particularly warm, sincere and at the same time business-like friendly relations between Asatiani and I. Kutateladze.

At the Institute of Pharmacochemistry Asatiani did his utmost to lay the foundation of biochemical pharmacology, analytical biochemistry and medical enzymology. He was the first in Georgia to devote his attention and efforts to this sophisticated sphere of pharmacology whereupon it turned into a mandatory field of research. His works in this field offered explanation of the biochemical mechanism of the effect of a number of medications in the treatment of cardiovascular conditions, atherosclerosis, diabetes, hypoxia.

Analytical biochemistry became one of the principal spheres of Asatiani, who devoted to it a number of basic monographs and manuals that enjoyed universal recognition. “Biochemical Photometry”, “Enzymatic Methods of Analysis”, “Biological Tables”, “The Enzymatic Analysis of Biological Material” and his other works have become *vade mecums* of biochemists.

L. Ramishvili, a worthy pupil of Acad. Asatiani, wrote in her memoirs in 1980: “Asatiani was one of the first biochemists in this country who as early back as in 1939 introduced such present-day techniques of analyzing biological material as the photometric, the spectral, the gasometric, the chromatographic and the enzymatic methods. This enabled

us to create and fill up an arsenal of biochemical indices which hitherto could not have been obtained otherwise using the then methods.

It may be stated without a trace of exaggeration that Soviet specialists in biochemical analysis owe a great debt of gratitude to Acad. Asatiani for the fact that today they are going abreast of their counterparts abroad.

Back in 1961, at the All-Union joint meeting of representatives of the ministries of health and medical industry, its chairman Prof. N. Rubtsov spoke highly about Vladimir Asatiani's monograph "Biochemical Analysis" describing it as a significant scientific achievement.

In 1969 Tbilisi became the venue of an international conference on enzymology. It was convened on the initiative of Prof. Asatiani and further stimulated the development of enzymology in Georgia.

Rapid revival of biochemistry conditioned the use of enzymes as the most precise chemicals, and the advantages of the methods of enzymatic analysis became obvious. This trend in research won global popularity and before long it became necessary to systematize and sum up the vast accumulated material. It was brilliantly done by Prof. Asatiani in his monograph "Fundamental Methods of Analysis" put out by the "Nauka" Publishers in 1969. This monograph was the first one in this sphere not only in the Soviet Union, but worldwide as well, and won its author the P. Melikishvili Prize – a well-deserved token of appreciation of his efforts and a symbolic expression of devotion and respect a pupil feels for his teacher.

As early back as in the 1950s, V. Asatiani turned his attention to papaya – an exotic plant for Georgia who had only a few varieties of this plant. Jointly with Prof. K. Mujiri he started studies of papaya fruit and the enzymes it contained. These studies were interrupted, but his scientific flair told him that he was on the right track, and later on, in the pharmaco-chemical laboratory that he had set up under the Institute of Pharmacochemistry, the highly efficient proteolytic medication caripazym was obtained, which is widely used in therapeutic practice.

Academician Asatiani maintained friendly contacts with such outstanding Russian biochemists as V. Oparin, V. Engelhardt, A. Paladin, S. Severin, A. Braunstein, A. Kursanov, I. Berezin, N. Kochetkov, B. Stepanenko, and such European scholars as O. Warburg, A. St. Dière, L. Poling and others also greatly appreciated his works.

After the death of Acad. I. Kutateladze, formerly Director of the Institute of Pharmaco-Chemistry, this position was filled by Asatiani. Under him, new achievements were made in the sphere of studying biologically active substances and development of new pharmaceuticals. He greatly contributed to improvement of the logistics of the Institute, strengthening its contacts with other research centres, and thus raising its reputation to new heights.

Acad. Asatiani is the author of over 180 publications, with 38 monographs among them. He was a scientist of exceptional talent, encyclopaedic erudition and a genuine gift for teaching. His students adored his lectures, and his monographs, textbooks and other manuals helped train whole generations of physicians, pharmacists, biologists. He supervised the work of over 80 aspiring candidates and doctors of medicine both in Georgia and elsewhere (in Leningrad, Minsk, Baku, Odessa, Tashkent).

Acad. Asatiani was a brilliant popularizer of science. He is the author of twenty educational books, 10 of which were published in Moscow. His “The Chemistry of our Organism”, “Faults and Failures in the Metabolism”, “The Chemical Bases of Life”, “Microbiology in Outer Space” and other works have won him prizes at many All-Union competitions of popular scientific literature.

His educational lectures and reports displayed his profound erudition, oratorical effervescence and invariably aroused interest of the audience.

Fluent in many languages, with an excellent visual memory, he had expert knowledge of the world classical and present-day literature, history and the arts, all of which added to his personal charm and made him an exceptional interlocutor.

Acad. Asatiani was one of the founders of the Georgian Biochemists’ Society and served as its chairman in 1962-1970. Besides, he also chaired the Pharmacologic Commission under the Ministry of Health of the Georgian SSR, was a member of the Full Medical Encyclopaedia and initiator and organizer of numerous international biochemical forums.

He was one of the most outstanding scientists and public figures with encyclopaedic erudition, a vast sphere of research interest and a phenomenal memory. He was of noble character and of kindly disposi-

tion and invariably took to the heart other people's problems and troubles. His inner warmth and magnanimity made him a born teacher who lavishly shared the power of his intellect and soul with those who were around him.

Acad. Asatiani died suddenly on March 9, 1972 at a Session of the Council for Conferring University Degrees at the Tbilisi State Medical University while one of his pupils was defending his theses.

Forty years have elapsed since his demise, and yet he remains irreplaceable in all the spheres where he was engaged in research. A truly Georgian intellectual, a worthy son of his motherland, an outstanding scientist and thinker, Academician Asatiani has left an indelible mark on the life of our society and won his worthy place in the history of the development of science.

Academician **E. Kemertelidze**,

Member of the Georgian National Academy of Sciences



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის სტამბა
2012